



სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“ აცხადებს მოსაპირკეთებელი სეგმენტის ყალიბების ჩამოტანის შესახებ

სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“ (CEI) აცხადებს, რომ გვირაბის მოსაპირკეთებელი სეგმენტის ყალიბები ჩამოტანილია მტკვარი ჰესის სამშენებლო მოედანზე. ბეტონის მრგვალი სეგმენტები გვირაბის გამყვანი მანქანის (TBM-ის) მეშვეობით დამაგრდება სადაწნევო გვირაბის კედელზე გათხრის პარალელურად.

მოსაპირკეთებელი სეგმენტის ყალიბები



„მოხარულნი ვართ, რომ ბეტონის ყალიბები უკვე ჩამოტანილია სამშენებლო მოედანზე და სულ მალე დავიწყებთ ბეტონის მოსაპირკეთებელი სეგმენტების დამზადებას. ჰერენკნეხტის ინჟინრები გაუწევენ ზედამხედველობას სეგმენტების წარმოების პროცესს და ასევე უხელმძღვანელებენ კომპანიის ინჟინრების ჯგუფს, რომლებმაც უკვე გაიარეს ჰერენკნეხტის მიერ ორგანიზებული მოსამზადებელი კურსი და ასევე დაესწრნენ ჰერენკნეხტის სამუშაო პროცესს ბაქოში“, განაცხადა CEI-ს გენერალურმა დირექტორმა **გიორგი აბდუშელიშვილმა**.

სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“ შესახებ

სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“ (CEI) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. წესდების მიხედვით CEI-ს შეუძლია განახორციელოს ინვესტირება ტრანსკავკასიურ კომპანიებში, რომელთა საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ელექტროენერჯის და ზუნებრივი აირის წარმოება. ამჟამად, CEI აშენებს ახალციხის რაიონში, მდინარე მტკვარზე (თურქეთის საზღვართან) 48 მკ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.cei.ge ან დაგვიკავშირდით:

ბიძინა ბეჟუაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა
+995 595 227 997
bbejuashvili@cei.ge

გიორგი აბდუშელიშვილი

გენერალური დირექტორი
კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა
+995 599 362 555
gabdushelishvili@cei.ge